

ბელა დურგლიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

bela.dirglishvili@atsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.21>

„მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა“ ანუ „მერანის“ იდეის სწავლებისათვის

საკვანძო სიტყვები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ობოლი სულის პოეტი, ლექსი „მერანი“

დიმიტრი უზნაძის სიტყვები, „ბარათაშვილის მთელი სალიტერატურო შემოქმედება მხოლოდ ოდისეა მისი თვითგამორკვევისაკენ მიმსწრაფი სულისა“, (უზნაძე, 1993:246) არის სწორედ ის უმთავრესი ფორმულა–გასაღები, რომელიც პოეტის სულიერი თავგადასავლის ყველა უმნიშვნელოვანეს კოორდინატს გვაძეგნინებს და გვაზუსტებინებს.

ამ სალიტერატურო შემოქმედების სწავლების პროცესში ჩანს, რომ სხვა ლირიკულ ნაწარმოებებთან ერთად, თვითგამორკვევისაკენ მიმსწრაფი სული განსაკუთრებულ სიმაღლეს ავლენს ლექსში „მერანი“.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის, ობოლი სულის პოეტის, ლექსი „მერანი“ არაერთი კვლევისა და ანალიზის ობიექტი გამხდარა, ნაწარმოებში წარმოჩენილი პრობლემატიკა დღესაც აღძრავს ბევრ საფიქრალსა და შეკითხვას.

კარგა ხანია სალიტერატურო კრიტიკა ერთხმად აღიარებს, თუ როგორ ენათესავება XIX საუკუნის დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ბარათაშვილის ეს ლირიკული შედეგრი XII საუკუნის გენიოსი პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ–ერთი მთავარი პერსონაჟის ავთანდილის ანდერძს და ერთგვარ მემკვიდრეობით ღირებულებას იძენს მასთან მიმართებით.

განსაკუთრებით საგულისხმოა ავთანდილის სიტყვები, რომლის თანახმადაც, მიუხედავად ყველაფრის დაკარგვისა და გაცამტვერებისა, თუნდაც სიცოცხლის მსხვერპლშეწირვისა და განადგურებისა ახლობელთაგან შორს, მისთვის ყველაზე ძვირფასი და სასურველია „მკვიდრი მამულის“ ანუ სულისათვის ზეციური საუფლოს დამკვიდრება:

„მომცეს მკვიდრივე მამული, მუნ ჩემი სასურვალეი.“

„ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვრობამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული.“ (პოეტის წერილი ბიძის ზაქარია ორბელიანისადმი 1844 წლის 15 აპრილს) წერს ნიკოლოზ ბარათაშვილი და ყოველი გონიერი ადამიანის საზრისთან მიახლოებას რომანტიკული პოეზიის მეოხებით ცდილობს.

დიდი ტალანტი ლექსს აწერინებს, ცის სილურჯით თუ საყურის აელვარებით აღაფრთოვანებს, ღამით ვარსკვლავებს აძებნინებს სულის მალამოდ და წარმოსახულ სამყაროში აცხოვრებს, თუმცა ამავედროულად სტანჯავს კიდეც. ეს ყმაწვილური იდეალიზმი, ეს რომანტიკული აღქმა, სასურველის ვერმიღწევა და არსებულის ვერმორგება, – საბოლოო ჯამში იმ მწარე იმედგაცრუებად შემობრუნდება, რომელიც გამოსჭვივის ბარათაშვილის წერილებსა და ლექსებში, განსაკუთრებული სრულყოფით კი „მერანის“ მებრძოლი და განწირული მხედრის მონოლოგში:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის;
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით, მიწას მამაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივაღალევენ სვავნი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!“

დიმიტრი უზნაძის შეხედულებით, ბარათაშვილის ფენომენი ორი სტიქიონური ძალისაგან შედგება: შემოქმედი გონებისა და ძლიერი გრძნობებისაგან. ორივე ამ საწყისს დიდი ფსიქოლოგი „მერანის“ მიხედვით ხედავს მერნისა და ყორნის მხატვრულ სახეთა დატვირთვაში. შემოქმედი გონება (აქ მერანი) მიისწრაფვის აბსოლუტისაკენ, სრულყოფილისაკენ, უნივერსუმისაკენ(ღვთაებრივისაკენ), ხოლო ძლიერი გრძნობები ამოსაკენ, დროებითის, ნაცადისა და წარმავალისაკენ.(აქ ყორანი). ამ ძალთა შორის დაპირისპირება რომანტიკოსი პოეტის არსებაში, მკვლევრის რწმენით, ქმნის კიდეც სულიერ დრამას, გამუდმებულ დაპირისპირებასა და წინააღმდეგობრიობას.

ამავდროულად, თავისუფლების და ბედისწერის მხატვრული სიმბოლოების, ერთი მხრივ, მერანისა და, მეორე მხრივ, „თვალბედითი შავი ყორანის“ დაპირისპირების მიღმა განფენილია კიდეც უფრო არსებითი – თავისუფლებისაკენ სწრაფვა და სიკვდილი. სიკვდილს სამშობლოში, დამარხვას წინაპრების საფლავების ახლოს, ახლობლების მიერ დატირებას უპირისპირდება სიკვდილი უცხო, უკაცრიელ და უდაბურ გარემოში. აქ სიკვდილი რომანტიკულადაა წარმოჩენილი და ტრადიციული წეს-ჩვეულებებით აღჭურვილ სიკვდილს ენაცვლება. ასეთი სიკვდილი კი მოასწავებს ადამიანის სრულ გაქრობას სამყაროდან – მის გმირულ დაღუპვას მოწმე, თანამგრძნობი და დამფასებელი ერთი შეხედვით, ლექსის მიხედვით, არავინ ჰყავს. უცხოობასა და მარტოობაში სიკვდილის შედეგად ამ ადამიანისაგან ამქვეყნად კვალიც არ რჩება.

სრულიად ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, პოეტის სული აცნობიერებს, რომ სიკვდილის შემდგომ მისი ხორციელი არსების წარმავლობასთან შეერთება გარდაუვალია. მაგრამ სრულიადაც არ ანადვლებს სიკვდილის შემდგომ სხეულებრივი გარსის ბედი, რაც მატერიალურზე რომანტიკული სულის ამაღლებაზეც მიანიშნებს. რასაკვირველია, ბიბლიური და ქრისტიანული დოგმატიკის მცოდნე პოეტის აზროვნებას შთააგონებს სულის სხვა განზომილებისაკენ ლტოლვისა და მისწრაფების ერთგვარი მისტერია. ბუნებრივია, ეს არის ერთგვარი საფუძველი პოეტის შთაგონებული ბრძოლისა მატერიალიზებული ამოების სამყაროს მიმართ. „რომანტიზმის ძირეულ საფუძველსაც სწორედ დაპირისპირება, წინააღმდეგობა შეადგენს – ეს არის წინააღმდეგობა რეალობასა

და იდეალს შორის. რომანტიზმში აღბეჭდილი ყველა სხვა წინააღმდეგობა მისგან არის წარმოშობილი. ასეთი წინააღმდეგობებია დაპირისპირება სულს და სხეულს, ჩვეულებრივს და არაჩვეულებრივს, სასრულ-შეზღუდულს და უსასრულო-აბსოლუტურს შორის.“(ვასაძე, 2024:24) აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „მერანში“ მიწიერ ცხოვრებაზე ზრუნვა წარმოდგენილია როგორც მსხვერპლის გაღება ამქვეყნიური ამაოების დაძლევისათვის, ამქვეყნად თავისუფლების დამკვიდრებისა და მიუღწეველი ჭეშმარიტების თუნდაც სხვა განზომილებაში მიღწევისათვის.

„ლექსში აღიბეჭდება უდიდესი, გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე მოვლენა – ადამიანის სრულ ანიჰილაციას უპირისპირდება და აქარწყლებს ღირიკული გმირის შერთება უსასრულობასთან, მის მიერ უკვდავების მოპოვება მსხვერპლგაღების წყალობით, რომელიც მომავალი თავისუფლების დაუსაზღვრელ პერსპექტივას ხსნის, მომავალში ბედისწერით, სიკვდილით აღმოუფხვრელ თავისუფლებას ამკვიდრებს.“(ვასაძე, 2024:26) ამგვარ მომავალთან მსხვერპლგაღებით მოპოვებული თანაზიარობით „მერანის“ გმირი არსებითად სიკვდილის, წარმავლობის მიმართ შეუვალი ხდება: იგი სამუდამო წილს დაიდებს ადამიანთა სამყაროში მარად მიმდინარე, უწყვეტად განგრძობად, აღუკვეთელ პროცესში – თავისუფლებისთვის ბრძოლაში და ასე მაღლდება წარმავლობაზე:

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.“

დიდი ტალანტის, ინტუიციური წვდომის, „მსოფლიო სევდის“, მარტოობისა და ობოლი სულის პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი პოეზიაში ბედისწერას ებრძვის და თავისუფლებას ეტრფის. „მერანში“ პოეტის ცნობიერს სძლევს ინტუიცია – ლექსის დაწერის საბაზად ხომ ლექთა მიერ დატყვევებული ბიძამისის მონოლოგი და ოცნება იქცევა, მაგრამ თხზვის პროცესში შთაგონება დგება ემპირიულ ფაქტებზე მაღლა და პოეტის სულის ღელვას გარდაქმნის თავისუფლების ჰიმნად. მართლია, ბარათაშვილმა ლექსს დაარქვა „თავგანწირული მხედარი“, რაც თითქმის ზღუდავს აზროვნების მასშტაბს. თუმცა იგი მეოცე საუკუნის 60-იან წლებში მართებულად შეცვალეს „მერანით“, რომელიც მითიურ პეგასს გულისხმობს. ეს სახელი კი სულის უნაპირო ქროლვასთან, ფრთოსანი რაშის მიერ უმაღლესი სანახების მოხილვის შესაძლებლობასთან ასოცირდება.

„ქართული სევდა იყო ის ნიადაგი, რომელზეც იდგა ბარათაშვილის პოეზია, მთაწმინდა – სევდის სადგური, ღამე და საღამო – მეგობარი, ვარსკვლავები – მესაიდუმლენი, ქროლვა – თავისუფლება. ბოროტი სული ის ბედისწერა და გარემო იყო, რომელიც გულს უკლავდა, მისი სიმბოლო კი – შავი ყორანი, როგორც ედგარ პოს ნევერმორე (არასოდეს).“ (სიგუა, 2022:73) ამ კრიტიკოსის აზრით, ბედისწერასთან შეურიგალი მხედარი მიცვეციჩის ფარისს ჰგავს, ამაოება კი მუდმივად ებრძვის ზეცისაკენ მიმსწრაფ სულებს. რარიგ ვუცხოვე სამყაროს ცივ დენასო, – შემთხვევით არ დაწერს საუკუნე–ნახევრის შემდეგ ზვიად გამსახურდია. მართლაც, როგორ შეიძლება ხრწნადი წარმავლობა ამჯობინოს მეგრძოლმა სულმა სულიერი სრულყოფილებისაკენ მარადმეძინ გზასა და უსაზღვროებისაკენ სულის სწრაფვას.

„მერანის“ დაუღალავი და შეუდრეკელი მეგრძოლი ღირიკული გმირიც არად მიიჩნევს ახლობელთაგან, სატრფოსაგან შორს მყოფობასა და სიკვდილსაც კი, თუ თავის ნანატრ მიზანს აისრულებს. შავი ბედისწერისაგან შემოსაზღვრულ მოჯადოებულ

წრებრუნვაში ჩანთქმულ გმირს სწადია გაარღვიოს, გადალახოს „ბედის საზღვარი“, რომლის მიღმა ელოდება აღთქმული მხარე–ვარსკვლავთა სამყარო.

ლექსის უმთავრესი იდეაც, ვფიქრობთ, სწორედ ამ სიტყვებით გამოიხატება:

„მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, გამცნო გულისა მე საიდუმლო..“

ეს არის სწორედ თეოზისის, პოეტური სულის განდმრთობისა და იდეალთან შერწყმის საიდუმლო.

პოეტი, რომელიც მუდმივად ეძებდა ნუგეშსა და სევდის განმაქარველ ადგილს, თავის მისადრეკსა და ძვირფასი ადამიანის გულს ნავთსაყუდელად, ვერასდროს ვერ პოულობს მას და მხოლოდ ზეციურ სანახებში დაიგულვებს ამგვარ სივრცესა და თავშესაფარს. მას ხომ სწამს, რომ მხოლოდ ზეციურ, ღვთაებრივ მამულში ჰპოვებს გულის მესაიდუმლოს.

შეუძლებელია, მსოფლიო რომანტიზმის რჩეულ წარმომადგენელთა, განსაკუთრებით ჯაკომო ლეოპარდის „აზიაში მოხეტიალე მწყემსის ღამეული სიმღერა“, ჯორჯ ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“, ჯონ ქიტისის „იმედს“ და ადამ მიცკევიჩის „ფარისი“ არ გავიხსენოთ, რომელთა იდეური არსის გაანალიზებისას ხელშესახებად და მკაფიოდ სწორედ ბარათაშვილისეული ზესთა სამყაროსთან მყოფობის იდეალს ვხედავთ.

„ო, რომ შემემლოს უმძლავრესი ფრთებით ავფრინდე
და გავლივლივდე ღრუბლების იქით,
და ვარსკვლავების უსასრულო სრბოლას ვუჭვრეტდე...
...მე ვიქნებოდი ბედნიერი.“

– წერს ჯაკომო ლეოპარდი. (ლეოპარდი, 1985:32)

მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში ამ ლტოლვას და მისწრაფებას ავლენს დიდი ქართველი პოეტი გალაკტიონი, რომელსაც ტრანსცენდენტურში ინტერვენცია უკვე ჩვეულ გზად გადაუქცევია და მისთვის მოძრაობის, სულიერი თავგადასავლის ორგანულ ტრაექტორიად ისახება „ზევით თუ სამარეში“. გალაკტიონის ლექსი „ვარსკვლავთა“ არა მხოლოდ ეტიმოლოგიურად, არამედ არსობრივად ეთანაბრება ბარათაშვილის „მერანის“ იდეას. მაშინ, როცა დიდი პოეტის აზრით, ყველა, ყველაფერი მიდის უდაბნოში, ზეცაზე კვლავ ცხოველმყოფლად ანათებს ვარსკვლავი. როცა ყველაფერი სიბნელეში ინთქმება, ადამიანთა სამყარო უმაღლეს ნათელს, გამუდმებით ადამიანთა სულისა და გულის გამათბობელ–განმანათლებლად მოვლენილს ვერც კი ხედავენ, ვერც აღიქვამენ და ცხოვრების მთავარ ორიენტირად არ აქცევენ:

„ნეტა არსებობდეს სიტყვა ქვეყანაზე
ამის ამხატავი,
ნეტა არსებობდეს გული ქვეყანაზე
ამის შემგრძნობელი
ნეტა არსებობდეს აზრი ქვეყანაზე ამის შემცნობელი..“

... ამიტომაც წუხს და განიცდის გალაკტიონი: „გასაოცარია, გასაოცარია...ძლიერ საოცია“,– აცხადებს იგი.

„როცა ყოველივე,
ყველა, ყველაფერი
არის გაჩენილი ამაოებისთვის,
მხოლოდ შენ ანათებ!“

ამგვარი ინტერტექსტუალობის ელემენტებით ადვილად შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ ვინმე სულიერ მოყვასთაგან მიუახლოვდა და შეძლო ბარათაშვილის სულიერ იდეალს არა მხოლოდ მიახლოვებოდა, არამედ ეღიარებინა თანამავალ ვარსკვლავად და თავისი გულის საიდუმლოც გაეზიარებინა, დიდი გალაკტიონია.

„ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი“ (გალაკტიონი) – იდეათა ნათესაობისა და მსგავსების საფუძველზე აღმოცენდება უმაღლესი იდეალის ამსახველი პოეტური შედეგები.

მიგვაჩნია, რომ ბარათაშვილის მსგავსი სულიერი კონსტრუქციის ადამიანებს მართლაც გაეკვალა გზა ამ უმაღლესი იდეალისაკენ. ტყუილად ხომ არ მიიკვლევდა რომანტიკოსი პოეტი ვარსკვლავთა სამყაროსაკენ სავალს ისე, რომ ამ გზაზე მის მოყვასსაც შესძლებოდა სვლა:

„და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.“

თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ პოეტის თანამედროვეობას მისი მსგავსი რომანტიკოსი მოაზროვნე არა ჰყოლია. და იმის კატეგორიული მტკიცება, რომ პოეტი თავისი ლექსის მთავარ კონცეპტად მხოლოდ მოყვასის მსახურებას გვთავაზობს, ლექსის დინამიკის საფუძველზეც კი ვერ დასაბუთდება. უპირველესად ხომ ბარათაშვილისათვის სიცოცხლისა და მოძრაობის ორიენტირი უნდა გამოკვეთილიყო, ჯერ მისთვის ის ვარსკვლავი უნდა გამოზრწყინებულიყო, რომლისკენაც სწრაფვის აუცილებლობა და მიმართულება თავადაც გაეთავისებინა თუნდაც მსხვერპლშეწირვით. მხოლოდ შემდეგ აღმოჩნდებოდა ეს „უვალი გზა“ ადვილად გასავლელი პოეტის სულიერ მოყვასთათვის, ანუ იმ ადამიანებისათვის, რომელთა ცხოვრებაში უმაღლესი ზნეობრივი ორიენტირი ღვთაებრივი ძალა, იგივე „თანამავალი ვარსკვლავია“.

ვფიქრობთ, „მერანის“ მნიშვნელობა ამ ასპექტითაც როგორც ქართული საზოგადოებრივი თვითშეგნების, ასევე, ჩვენი პოეტური კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებულია. იგი იქცა ეროვნული თვითშეგნების მხატვრულ სიმბოლოდ და ძლიერი ბიძგი მისცა ქართულ პოეტურ შემოქმედებას. სრულიად ლოგიკურად მიიჩნევა „მერანი“ მე-19 საუკუნის ახალი ქართული პოეზიის საწყისად და ქართული პოეტური კულტურის განვითარების ახალ საფეხურად. ამიტომაც პრინციპულად არ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ „მერანის“ მთავარი იდეა მხოლოდ მოძმეთათვის გზის გაკვალვაა. დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ერთი ქვე იდეა, ისიც მას შემდეგ, რაც მიღწეულია მიზანი ანუ დასახულია სამოქმედო ორიენტირი სულის საბოლოო ნავსადგურის (ვარსკვლავთა სამყარო) სახით. თუ იმ შეხედულებასაც გავითვალისწინებთ, რომ ბარათაშვილის თანამედროვეობას მისი სულიერი ნათესავები ანუ მისი მსგავსი მოაზროვნენი არ ჰყოლია, მაშინ, ცხადია, ობოლი სულის პოეტის მიერ გაკვალული გზა მოგვიანებით მაინც მოემსახურებოდა მისი სულის მონათესავე მოყვასს, გახდებოდა ერთგვარი სულიერი პარადიგმა პიროვნული თავისუფლების ძიების გზაზე შემდგარი მოძმეებისათვის, უმაღლესი იდეალების მისაახლებლად – კოსმიურ სამშობლოში, მკვიდრ მამულში ანუ ვარსკვლავთა საუფლოში მოსახვედრად.

ლიტერატურა:

1. ვასაძე თ., –ბარათაშვილის პოეზიის ანტიტეზები, ჰუმანიტარული განათლება სკოლაში N1, – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა, 2022.
2. თაქთაქიშვილი ლ.,–„ნიკოლოზ ბარათაშვილი“(თხზულებათა სრული კრებული),თბილისი, პეგ, 2005, გვ.47
3. ლეოპარდი ჯ.,–ლირიკა, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“,1985, გვ.29
4. ნარიშკინი ს.,– „ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები“, კრებული, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“,1993
5. სიგუა ს., – ქართული კულტურის ისტორია IV, ტექნიკური უნივერსიტეტი კულტუროლოგიის ინსტიტუტი, „განწირული მხედარი“, თბილისი, 2024, გვ.73.
6. უზნაძე დ.,–ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება, „ლექსები,ბედი ქართლისა, წერილები“, კრებული, თბილისი, 1993, გვ.246–274

Bela Durglishvili

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

beladurglishvili@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.21>

To teach the idea of "Merani" or "only the companions of the stars"

Abstract

Dimitri Uznadze's words "Baratashvili's entire literary work is just an odyssey of his soul striving for self-determination" are precisely the most important formula-key that helps us search for and clarify all the most important coordinates of the poet's spiritual adventure. In this literary work, along with other lyrical works, the soul striving for self-determination in the process of learning reveals another height in the poem "Merani".

Despite the fact that Nikoloz Baratashvili, the poet of an orphaned soul, 's poem "Merani" has become the object of numerous studies and analyses, the problematics presented by the poet in the work still arouse many thoughts and questions.

For a long time, literary criticism has unanimously recognized how this lyrical masterpiece by the great Georgian romantic poet of the 19th century, Baratashvili, is related to the legacy of Avtandili, one of the main characters in the 12th century genius poet Shota Rustaveli's "The Rider in the Tiger's Skin," and acquires a kind of hereditary value in relation to it.

Particularly significant are Avtandili's words, according to which, despite the loss and destruction of everything, even the sacrifice and destruction of life far from loved ones, the establishment of a "native homeland" or a heavenly kingdom for the soul is the most precious and desirable thing for him. The tireless and indomitable fighter lyrical hero of "Merani" also considers being far from loved ones, beloved, and even death to be nothing if he fulfills his long-awaited goal. The hero, trapped in an enchanted circle of black fate, wants to break through, to cross the "border of fate", beyond which the promised land – the world of stars – awaits.

The main idea of the poem, we think, is expressed precisely in these words:

"Only to the stars, my companions, did I reveal the secret of my heart.."

After all, he believes that only in the heavenly, divine realm will he find the keeper of his heart.

It is impossible not to recall the outstanding representatives of world romanticism, especially Giacomo Leopardi's "Night Song of a Shepherd Wandering in Asia", George Byron's "The Voyages of Childe Harold", John Keats' "Hope" and Adam Mickiewicz's "Paris", when analyzing the ideological essence of which we can tangibly and clearly see Baratashvili's ideal of being with the world of the supernatural. In twentieth-century Georgian poetry, this longing and aspiration is manifested by the great poet Galaktion, for whom intervention in the transcendental has already become a habitual path and for him it is seen as an organic trajectory of movement, spiritual adventure "either up or down". Galaktion's poem "Star" is not only etymologically, but also essentially equal to the idea of Baratashvili's poem. "We have slightly similar crowns" (Galaxy) – on the basis of the kinship and similarity of ideas, poetic masterpieces reflecting the highest ideal emerge. We believe that people with a spiritual structure similar to Baratashvili have indeed paved the way to this highest ideal, although it is also worth considering that the poet's contemporaries did not have a romantic thinker like him. Therefore, in principle, we do not share the opinion that the main idea of "Merani" is only paving the way for brothers. We consider it permissible that this is only one sub-idea, and only after the goal has been achieved, that is, the action orientation in the form of the final harbor of the soul (the world of stars) has been set. If we also take into account the view that Baratashvili's contemporaries do not have his spiritual relatives, or people who think like him, then, of course, the path blazed by the orphaned poet would later serve his kindred spirit, becoming a kindred spirit for his fellow human beings, becoming a kindred spirit for their brothers and sisters on the path of personal freedom, in order to attain the highest ideals - to reach the cosmic homeland, the native land, or the kingdom of stars.

Key words: Nikoloz Baratashvili, the poet of an orphaned soul's, poem "Merani"